უფასო

# ჩემი გაზეთი

24 ნოემბერი
2018 წელი

№8 (36)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

## ბაღდათის მუნიციპალიტეტში წყალარინების ქსელის მშენებლობა იგეგმება

ბაღდათის მუნიციპალიტეტში გერმანული კომპანია „FICHTNER“ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად წყალარინების ქსელის სრული რეაბილიტაციის წინასაპროექტო კვლევას აწარმოებს. პროექტი „ტურიზმისა და გარემოს გაუმჯობესებისთვის კომუნალური ინფრასტრუქტურის კონცეპტის შემუშავების და განხორციელების შესწავლა“, რომელიც იმერეთის სამ მუნიციპალიტეტში უნდა დაიწყოს, გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და წყალარინების ქსელის სრულ უზრუნველყოფას გულისხმობს. ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები გერმანული კომპანია „FICHTNER“-ის წევრებს რამდენჯერმე შეხვდნენ და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. წინასაპროექტო კვლევები უკვე დაწყებულია. გერმანელი ექსპერტი შტეფენ შულენი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სოფელ ხანში არსებულ წყლის რესურსს გაეცნენ. შესაძლოა, აღნიშნული წყლები პოტენციური მომარაგების წყარო გახდეს ბაღდათის მოსახლეობისთვის. ვიზიტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა წყლის ნიმუში აიღო, რათა სათანადო შესწავლის შემდეგ განისაზღვროს წყაროს პოტენციალი წყლის მომარაგების თვალსაზრისით. სოფელ ხანში, წყლის რესურსის შესწავლის მიზნით, სამუშაო ჯგუფი პროექტ „კომუნალური ინფრასტუქტურა გარემოს დაცვისა და ტურიზმისთვის“ ფარგლებში იმყოფებოდნენ. მოკვლევით სამუშაოებს გერმანული კომპანია „FICHTNER“ ადგილობრივ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს.

**ანა ქორიძე**



## ბუნებრივი აირი ყველა სოფელს!

2019 წელს სოფელ წყალთაშუაში გაზიფიცირების პროცესი დაიწყება. საქართველოს სოფლების გაზიფიკაციის პროექტის ფარგლებში მოსახლეობის ბუნებრივი აირით სრულად უზრუნველყოფა 2020 წლისთვის იგეგმება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი ჯაბა ხმალაძე ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთაშუას მოსახლეობას შეხვდნენ. მინისტრის მოადგილემ ადგილობრივებს იმერეთის რეგიონში მიმდინარე გაზიფიცირების ის პროექტები გააცნო, რომელსაც საქართველოს მთავრობა გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან ერთად ახორციელებს.

2018 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება 6 სოფელში განხორციელდა. წლის ბოლომდე ბუნებრივი აირით 906 ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი. ახლახანს დასრულდა სოფელ დაფენილის გაზიფიცირება. 30-მდე ოჯახს ბუნებრივი აირი უკვე მიეწოდება. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ასევე სოფელ ვარციხეში ე.წ. „აფხანაურის დასახლებაში“.

## ავთანდილ გოგავას 70 წლის იუბილე



**14 ნოემბერს ავთანდილ გოგავას 70 წელი შეუსრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით 22 ნოემბერს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლში მისი საიუბილეო საღამო გაიმართა. კოლეგებმა და მეგობრებმა სიმღერითა და თბილი სიტყვებით მიულოცეს იუბილარს ღირსშესანიშნავი თარიღი. ბატონ ავთანდილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებაში — ბაღდათის ცნობადობის ამაღლებასთან ერთად არის არაერთი მუსიკალური თაობის აღმზრდელი.**

ბატონი ავთანდილი 1948 წელს დაიბადა სოფელ ობჩაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში საორკესტრო განყოფილების ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში უკრავდა ქალაქ ქუთაისთან არსებულ ანსამბლ „სხივში“. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სამტრედიის მუსიკალურ სკოლაში, პარალელურად უკრავდა ანსამბლ „თაიგულში“.

1977 წელს ავთანდილ გოგავა მუშაობას აგრძელებს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლში გიტარის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად, პარალელურად მუშაობს კურორტ საირმეში კულტორგანიზატორად.

1980 წლიდან შექმნა ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელიც მუშაობდა ბაღდათის სარაიონო გუნდთან ერთად. ორკესტრი გუნდთან ერთად ხშირად დადიოდა გასტროლზე სხვადასხვა ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, უნგრეთი...), მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

ბატონი ავთანდილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის ბაღდათის სამუსიკო სკოლაში, ჩამოაყალიბა ბავშვთა ხალხურ საკრავთა ორკესტრი. იგი ასევე მუშაობდა დიმის კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად, სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლაში წრის ხელმძღვანელად.

2000 წელს ავთანდილ გოგავამ შექმნა ხუთკაციანი ჯგუფი და მოღვაწეობა გააგრძელა მოსკოვში. აქ იგი 6 წელი იმყოფებოდა, იყო ბევრი სატელევიზიო გადაცემის სტუმარი, გადაიღეს რეკლამებში.

2012 წელს დაინიშნა ფოლკლორის წრის ხელმძღვანელად ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლში. ამჟამად მუშაობს ბავშვთა ხალხურ საკრავთა წრის პედაგოგად ამავე ორგანიზაციაში. პარალელურად მოღვაწეობს ტრიო „იმერეთში“, რომელიც არის მრავალი ფესტივალის გამარჯვებული და ლაურეატი. იგი უკრავს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე (ფანდური, გიტარა, ბალალაიკა, ფორტეპიანო, კლარნეტი, სალამური, ჩონგური, დასარტყამი ინსტრუმენტი...). ბატონი ავთანდილი თავისი ხელით ქმნის ქართულ ხალხურ საკრავებს (ფანდური, ჩონგური, სალამური).

„ჩემი გაზეთის“ გუნდი ულოცავს ბატონ ავთანდილს იუბილეს, დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს მას.

**მარიამ ოქროჭელიძე**

## ნიჭიერი თაობა

რუბრიკა „ნიჭიერი თაობის“ სტუმარი 17 წლის რუსუდან ბენდელიანია. სასიამოვნო ხმის ტემბრით, სევდანარევი ფიქრიანი თვალებითა და თმებში გაბნეული მზით. ის მელანქოლიური და პოეტურია. წერს, როცა უხასიათოდაა, მუზების მოფრენას განსაკუთრებულად წვიმისა და თოვის დროს განიცდის.

რუსუდანი წარმოშობით ლეჩხუმიდანაა, იგი ცაგერში დაიბადა. მისმა ოჯახმა 3 წლის წინ შეიცვალა საცხოვრებელი და ბაღდათში, სოფელ ვარციხეში, დასახლდა. წერაც რამდენიმე წლის წინ დაიწყო, წერს ლექსებს, ჩანახატებს, ესეებს, უყვარს წიგნების კითხვა, სწავლის გაგრძელებას ეკონომიკის, ან ბიზნესის განხრით ფიქრობს. ჰყავს 15 წლის ძმა.

„გამარჯობა, მოგესალმებათ შემოდგომის გოგო, ანუ მე, ალბათ, იკითხავთ, რატომ მოვიხსენიე ჩემი თავი ასე, იმიტომ, რომ ამ სეზონზე ვგიჟდები, შემიძლია, უსასრულოდ ვიჯდე და ვუყურო, როგორ ყვითლდება და შემდეგ ცვივა ფოთლები. როგორ შიშვლდება და ხანგრძლივი ძილისთვის ემზადება ბუნება. შემიძლია, უსასრულოდ ვუსმინო წვიმის ხმას, შინაგანი ბუნება მელანქოლიური მაქვს და შემოდგომაც მელანქოლიკების სეზონი მგონია“. ალბათ, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ის შემოდგომის ულამაზესი თვის, ნოემბრის სტუმარია „ჩვენს გაზეთში“, რადგან მის შემოქმედებაში მრავლადაა ამ სეზონისადმი მიძღვნილი ლექსი, თუ ჩანახატი.

ერთ-ერთ სასკოლო ღონისძიებაზე წაიკითხა თავისივე ჩანახატი და მღელვარებით იხსენებს მაშინდელ განცდებს: „მუხლები მიკანკალებდა და ხმა ჩამიწყდაო“. რამდენიმე თვის წინ მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში „სენტენცია“, რომელიც დედაქალაქიდან ონლაინ რეჟიმში მართული პროექტი იყო.

წარმოგიდგენთ მისი შემოქმედებიდან ერთ-ერთ ლექსს:

* * *

პლედი, ცხელი ჩაი და თბილი თითები
უკვე თბილ ქვეყნებში გაფრენილი ჩიტები
სიოზე ჩამოცვენილი ხმელი ფოთლები
ამ სეზონს მე სამი სეზონი ველოდები.
წვიმის ხმაური და მისი სურნელი,
ქარი, ელვა და ჭექა-ქუხილი,
სიცივით გათოშილი შენი თითები
მზის გაბუტვა და ზეცის წუხილი.

P.S. მოზარდებმა, რომლებიც წერთ ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს, შეგვეხმიანეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 591 20 80 40, 555 94 93 68 ან მობრძანდით ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის მე-2 სართულზე.

**აზა მაშანეიშვილი**

## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## დადგენილება №
## 2018 წლის --- დეკემბერი

### ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაღდათს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი” დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შალვა მშვილდაძე ---------------------------

დანართი

### ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი
### თავი I
### ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები
### მუხლი 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი -შემოსავ ლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან -გამოყო ფილი ტრანსფერები | | საკუთარი -შემოსავ ლები | -სახელმ წიფო ბიუჯეტის -ფონდე ბიდან -გამოყო ფილი -ტრანს ფერები |
| I. შემოსავლები | 10771825.72 | 9178600 | 523200 | 3946600 | 6150100 | 6022100 | 128000 |
| გადასახადები | 875914.21 | 790000 | 790000 | 0 | 5471100 | 5471100 | 0 |
| გრანტები | 9327305 | 7691500 | 3744900 | 394660 | 128000 | 0 | 128000 |
| სხვა შემოსავლები | 568606,51 | 697100 | 697100 | 0 | 551000 | 551000 | 0 |
| II. ხარჯები | 4903838.3 | 4846300 | 4846300 | 0 | 5551600 | 5425600 | 126000 |
| შრომის ანაზღაურება | 1074271,14 | 1400000 | 1400000 | 0 | 1436000 | 1381000 | 55000 |
| საქონელი და მომსახურება | 711461,15 | 601200 | 601200 | 0 | 689200 | 665200 | 24000 |
| პროცენტი | 0 | 0 | 0 | 0 | 30000 | 30000 | 0 |
| სუბსიდიები | 2395845,11 | 2452100 | 2452100 | 0 | 2760000 | 2713000 | 47000 |
| გრანტები | 403 | 0 | 0 | 0 | 5400 | 5400 | 0 |
| სოციალური -უზრუნველ ყოფა | 342816,18 | 393000 | 393000 | 0 | 441000 | 441000 | 0 |
| სხვა ხარჯები | 379041,72 | 0 | 0 | 0 | 190000 | 190000 | 0 |
| | | | | | | | |
| III საოპერაციო სალდო | 5868200 | 4332300 | 385700 | 3946600 | 598500 | 596500 | 2000 |
| | | | | | | | |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3909600 | 6999400 | -55300 | 7054700 | 578500 | 578500 | 0 |
| ზრდა | 3959600 | 7424700 | 370000 | 7054700 | 616000 | 616000 | 0 |
| კლება | 49983.38 | 425300 | 425300 | | 37500 | 37500 | 0 |
| | | | | | | | |
| V მთლიანი სალდო | 1958600 | -2667100 | 44100 | -3108100 | 20 | 18000 | 2000 |
| | | | | | | | |
| VI ფინანსური აქტივების ცვლილება | 0 | -3002400 | -293500 | -2708900 | 0 | 0 | 0 |
| ზრდა | -3002400 | 0 | | | 0 | | |
| კლება | 1589647.17 | 3002400 | 293500 | 2708900 | 0 | | |
| | | | | | 0 | | |
| VII . -ვალდებუ ლებების ცვლილება | -545804.68 | -335300 | -335300 | | -20000 | -20000 | 0 |
| ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშინაო | 0 | | | | 0 | | |
| კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშინაო | 545804.68 | 335300 | 335300 | 0 | 20000 | 20000 | |
| | 0 | | | | 0 | | |
| VIII. ბალანსი | 0 | 0 | 399200 | -399200 | 0 | 0 | 0 |

### მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | საკუთარი -შემოსავ ლები | მათ შორის -სახელმ წიფო -ბიუჯე ტის -ფონდე ბიდან -გამოყო ფილი -ტრანს ფერები | სულ | საკუთარი -შემო სავლები | მათ შორის -სახელმ წიფო ბიუჯეტის -ფონდე ბიდან -გამოყო ფილი -ტრანსფე რები |
| -შემოსუ ლობები | 12411456.27 | 12606300 | 9386247 | 5828813 | 6187600 | 6187600 | 0 |
| -შემოსავ ლები | 10771825.72 | 9178600 | 5232000 | 3946600 | 6150100 | 6150100 | 0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 49983.38 | 425300 | 425300 | | 37500 | 37500 | 0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე) | 1589647.17 | 3002400 | 293500 | 2708900 | 0 | | |
| -ვალდებუ ლებების ზრდა | | | | | | | |
| -გადასახ დელები | 9409251.69 | 12606300 | 10290255 | 17653462 | 0 | 0 | 0 |
| ხარჯები | 4903838.3 | 4846300 | 9738783 | 9148052 | 0 | 0 | 0 |
| -არაფინან სური აქტივების ზრდა | 3959608.71 | 7424700 | 551472 | 8505410 | 0 | 0 | 0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | | | 0 | | |
| -ვალდებუ ლებების კლება | 545804.68 | 335300 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნაშთის ცვლილება | -1589600 | -3002400 | -293500 | -2708900 | 0 | 0 | 0 |

### თავი II
### ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6150,1 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი -შემოსავ ლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი -შემოსავ ლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| შემოსავლები | 10771800 | 9178600 | 5232000 | 3946600 | 6150100 | 6150100 | 0 |
| გადასახადები | 875900 | 790000 | 790000 | 0 | 5471100 | 5471100 | 0 |
| გრანტები | 9327300 | 7691600 | 3744900 | 3946700 | 128000 | 128000 | 0 |
| სხვა შემოსავლები | 568600 | 697100 | 697100 | 0 | 551000 | 551000 | 0 |

### მუხლი 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 5471,1 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი -შემოსავ ლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | -საკუ თარი -შემოსავ ლები |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გადასახადები | 875.9 | 790 | 0 | 790 | 5471,1 | 0 | 5471.1 |
| საშემოსავლო გადასახადი | 484.7 | 440 | 0 | 440 | 0 | 0 | 0 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 | 5071.1 | 0 | 5071.1 |
| ქონების გადასახადი | 391.2 | 350 | 0 | 350 | 400 | 0 | 400 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 267.3 | 300 | 0 | 300 | 260 | 0 | 260 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 4.1 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 5 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 74.6 | 30 | 0 | 30 | 80 | 0 | 80 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 45.2 | 20 | 0 | 20 | 55 | 0 | 55 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სხვა გადასახადები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**მუხლი 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 128.0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| გრანტები | | 7691,6 | 128,0 |
| გრანტები | 9327.3 | 7691,6 | 128,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 9327.3 | 7691,6 | 128,0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 3697.7 | 3744,9 | 128,0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 3319.7 | 3616.9 | 0 |
| სპეციალური ტრანსფერი | 250 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 128 | 128 | 128.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 5629,6 | 3946.7 | 0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 5629,6 | 3946.7 | 0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0 | 0 | 0 |

**მუხლი 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ბაღდათის- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 551,0 ათასი ლარის დენობით.

| | | | |
|---|---|---|---|
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცი | 91,9 | 45 | 106 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 70,3 | 40 | 81 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 11.6 | 10 | 11 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.4 | 0 | 0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 58.3 | 30 | 70 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 21.6 | 5 | 25 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 20.9 | 5 | 25 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 97.7 | 100 | 65 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 0 | 0 | 0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 43.1 | 222,1 | 0 |

## თავი III
## ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

**მუხლი 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5551,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი-შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი-შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| ხარჯები | 4903.8 | 4846,3 | 4846,3 | 0 | 5551,6 | 5551,6 | 0 |
| შრომის ანაზღაურება | 1074.3 | 1400 | 1400 | 0 | 1436 | 1436 | 0 |
| საქონელი და მომსახურება | 711.5 | 601,2 | 601,2 | 0 | 689,2 | 689,2 | 0 |
| პროცენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 30 | 30 | 0 |
| სუბსიდიები | 2395.8 | 2452,1 | 2452,1 | 0 | 2760 | 2760 | 0 |
| გრანტები | 0.4 | 0 | 0 | 0 | 5,4 | 5,4 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 342.8 | 393 | 393 | 0 | 441 | 441 | 0 |
| სხვა ხარჯები | 379 | 0 | 0 | 0 | 190 | 190 | 0 |

**მუხლი 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

ანისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 578,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 616.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|
| 00 01 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 305 | 60 | 90 |
| 00 02 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 9.2 | 1,7 | 0 |
| 00 03 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3645.4 | 7220,6 | 526 |
| 00 04 | განათლება | 0 | 0 | 0 |
| 00 05 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 0 | 0 | 0 |
| 00 06 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | 142,4 | 0 |
| | სულ ჯამი | 3959.6 | 7424.7 | 616 |

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 37.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 50 | 425.3 | 37.5 |
| ძირითადი აქტივები | 2.2 | 425.3 | 37.5 |
| არაწარმოებული აქტივები | 47.7 | 425.3 | 37.5 |
| მიწა | 47.7 | 425.3 | 37.5 |

**მუხლი 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1860.1 | 1807.9 | 2124.6 |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1860.1 | 1807.9 | 2124.6 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1860.1 | 1787.9 | 2104.6 |
| 7.2 | თავდაცვა | 86.1 | 80.7 | 79 |
| 7.3 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0 | 0 | 0 |
| 7.4 | ეკონომიკური საქმიანობა | 3011.1 | 7070.8 | 431 |
| 1 7.4 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | | |
| 2 7.4 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 14.8 | 851 | 20 |
| 1 2 7.4 | სოფლის მეურნეობა | 14.8 | 0 | 0 |
| 3 7.4 | სათბობი და ენერგეტიკა | 0 | 0 | 0 |
| 4 7.4 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 31.4 | 0 | 00 |
| 5 7.4 | ტრანსპორტი | 2892.4 | 5806.1 | 324 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 5 7.4 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2892.4 | 5979047 | 0 |
| 5 5 7.4 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0 | 110216 | 0 |
| 9 7.4 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 72.5 | 413.7 | 87 |
| 7.5 | გარემოს დაცვა | 842.7 | 710 | 870 |
| 1 7.5 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | | 710 | 870 |
| 2 7.5 | ჩამდინარე წყლების მართვა | 217.7 | 0 | 0 |
| 3 7.5 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | 0 | 0 | 0 |
| 7.5.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 625 | 0 | 0 |
| 7.6 | საბინაო კომუნალური მეურნეობა | 596,4 | 307.8 | 304 |
| 1 7.6 | ბინათმშენებლობა | 0 | 44.8 | 140 |
| 2 7.6 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 0 | 0 | 0 |
| 3 7.6 | წყალმომარაგება | 465 | 120 | 17 |
| 4 7.6 | გარე განათება | 131,5 | 143 | 140 |
| 5 7.6 | გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 0 | 0 | 0 |
| 6 7.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 0 | 0 | 7 |
| 7.7 | ჯანმრთელობის დაცვა | 47 | 47 | 47 |
| 1 7.7 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | 0 | 0 | 0 |
| 2 7.7 | ამბულატორიული მომსახურება | 0 | 0 | 0 |
| 3 7.7 | საავადმყოფოების მომსახურება | 0 | 0 | 0 |
| 4 7.7 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 47 | 47 | 47 |
| 7.7 5 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროსი | 0 | 0 | 0 |
| 6 7.7 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0 | 0 | 0 |
| 7.8 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 936,4 | 1154.8 | 887 |
| 1 7.8 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 187,9 | 299.5 | 292 |
| 2 7.8 | მომსახურება კულტურის სფეროში | 681,7 | 879 | 540 |
| 3 7.8 | ტელე-რადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 0 | 0 | 0 |
| 4 7.8 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 66,7 | 46.3 | 55 |
| 7.9 | განათლება | 815,2 | 546.6 | 983 |
| 1 7.9 | სკოლამდელი აღზრდა | 815,2 | 546.6 | 983 |
| 10 7 | სოციალური დაცვა | 668,5 | 545.4 | 402 |
| 1 10 7 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 19,9 | 110000 | 0 |
| 4 10 7 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 36,9 | 42 | 33 |
| 7 10 7 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 176,6 | 218.5 | 202 |
| 9 10 7 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 433,2 | 284.9 | 167 |
| | სულ | 8863,4 | 12271 | 6127.6 |

**თავი IV**
**ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება**

**მუხლი 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 20 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. - ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.00 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.00 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივების ზრდა | -3002,4 | 995.0 | 0.0 |

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ვალუტები და დეპოზიტები | -3002,4 | 0.0 | 0.0 |
| სადაზღვეო-ტექნიკური რეზერვები | -3002,4 | 0.0 | 0.0 |

3. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.00 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივების კლება | 1589,6 | 3002,4 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1589,6 | 3002,4 | 0.0 |
| სადაზღვეო-ტექნიკური რეზერვები | 1589,6 | 3002,4 | 0.0 |

**მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -20 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0.00 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0.0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0.0 |

3. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 20 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების კლება | 545,8 | 335,3 | 20 |
| საშინაო | 545,8 | 335,3 | 20 |
| სესხები | 545,8 | 335,3 | 20 |

4. განისაზღვროს ბაღდათის- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის 47,790 ათასი ლარის ოდენობით:

| კრედიტორი | საპროგნოზო ვალი |
|---|---|
| სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა | 47,790 |
| 1მუნიციპალური განვითარების ფონდი | 47,790 |

**მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 20 ათასი ლარის ოდენობით.

**თავი V**
**ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები**
**მუხლი 13. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები**

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;**
- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;**
- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

**1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება**

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 6.მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

**1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება**

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა

**მიზანი**

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების შესრულება.

**აღწერა**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება.

**1.2 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება**

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების პროგრამა

**მიზანი**

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

**აღწერა**

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსური ანგარიშგება საჭიროებას დახვეწას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში

მოყვანას; მუნიციპალიტეტში არ არის აქტივების აღრიცხვის ერთიანი სისტემა, საბიუჯეტო პროცესში დაბალია მოსახლეობის ჩართულობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება, პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირებულობის მაღალი მაჩვენებლით დაგეგმვა-შესრულება, ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების, პერიოდული ინვენტარიზაცია,კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის ამაღლება-შეფასება.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორიცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას.

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა და სხვა.

**2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის პროგრამა**

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია, საავტომობილო გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება,ახალი გზების მშენებლობა რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას,მოსახლეობის სწრაფ და ეფეტურ გადაადგილებას. გაგრძელდება მუშაობა ძირითადი და შიდა სასოფლო-საუბნო დანიშნულების გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდასასოფლო მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკური დონის მაღალ მაჩვენებლებზე.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობას და რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმოულ შეკეთებებს, ზამთარში ყინვისა და მოცურების საწინააღმდეგო პრევენციების განხორციელებას,ტექნიკური მარილის მოყრას, შიდასაუბნო გზების მოხრეშვას.

**2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**პროგრამის მიზანი:** არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მშენებლობა

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ახლის მშენებლობა, თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება და სხვა ღონისძიებები.

**2.3 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**პროგრამის მიზანი:** არსებული არხების რეაბილიტაცია-განახლება და ქსელის გაფართოება

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების წესრიგში მოყვანა.

**2.4. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამა/ქვეპოგრამა**

**პროგრამის მიზანი:** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**პროგრამის აღწერა:** გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია - დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა პატრონობის ხარჯები. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება.

**2.5 კეთილმოწყობის ღონისძიებები**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება-რეაბილიტაცია, რათა მოსახლეობას მიეცეს სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადო-ებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, შადრევნების ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, საპროექტო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვა, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

**2.6. წყლის სისტემების განვითარება**

**პროგრამის მიზანი:** წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის მიწოდების ხელშეწყობა, დაფინანსდება არსებული ქსელის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ქსელის გაფართოება, საცავების გაწმენდა და სხვა ღონისძიებები.

**3. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა მიზნად ისახავს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორიცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლა-პატრონობა, გარემოს დაცვა და სხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური, ხოლო შემსრულებელია ა(ა) იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება

**3.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დამატებითი ურნებისა განთავსება.

**3.2 ქალაქის გამწვანების ღონისძიებები**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა და განვითარება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი. ხორციელდება ბაღების, სკვერების მოვლა–პატრონობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

**4. განათლება**

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, შესრულების კონტროლის სტანდარტის გაძლიერებას და სხვა.

**4.1 სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება**

**პროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა და სკოლის გარეშე განათლების მიღება

**პროგრამის აღწერა:** პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, სკოლის გარეშე განათლების მიცემა მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

**5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების

შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურისა და სპორტის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

**5.1 სპორტის სფეროს განვითარება**

**პროგრამის მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას - პოპულარიზაციას, საქართველოს ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან,

სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მშენებლობა.

**5.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობა, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება და სხვა.

**5.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

**პროგრამის მიზანი:** ახალგაზრდა თაობის ჩართულობის ზრდა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში

**პროგრამის აღწერა:** სხვადასხვა ტიპის აქტივობებით (სპორტული, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებებით) უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტში

მცხოვრები ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის შესაბამისად. მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინასება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველ ფენის ხელმისაწვდომობას ა ჯანდაცვისა და მომსახურების სხვადასხვ სერვისებზე.

**6.1. ჯანმრთელობის დაცვა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;

**პროგრამის აღწერა:** გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირება და სხვა.

**6.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

**პროგრამის მიზანი:** მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

**პროგრამის აღწერა:** სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები) სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა და სხვა.

## თავი VI
## ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები
### მუხლი 16. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

| კოდი -ორგანიზაციული | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| | ბაღდათის მუნიციპალიტეტი | 8645,3 | 7312,8 | 12606,3 | 6187,6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 160 | 469 | 669.5 | 742 |
| | ხარჯები | 4978,6 | 4903,8 | 4846.3 | 551,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 1196,5 | 1074,3 | 1400 | 1436 |
| | საქონელი და მომსახურება | 563,5 | 711.5 | 601.2 | 689,2 |
| | სუბსიდიები | 2628 | 2395,8 | 2452.1 | 2760 |
| | გრანტები | 102,4 | 0.4 | 0 | 5.4 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 314,9 | 342,82 | 393 | 441 |
| | სხვა ხარჯები | 173,3 | 379 | 0 | 190 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3383,8 | 3959,6 | 7424.7 | 616 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 545.8 | 335.3 | 20 |
| 00 01 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2587,6 | 2350,2 | 2137.4 | 2144,6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 153 | 155 | 129 | 129 |
| | ხარჯები | 1520,8 | 1555,1 | 1747.9 | 2034,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 1138,1 | 1020,6 | 1340 | 1380 |
| | საქონელი და მომსახურება | 370,8 | 508.6 | 397.9 | 490,2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 8 | 25.5 | 10 | 14 |
| | სხვა ხარჯები | 3.9 | 4 | 0 | 115 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 801,6 | 305 | 60 | 90 |
| | ვალდებულებების კლება | 265,2 | 490.1 | 329.5 | 20 |
| 01 01 | ბაღდათის საკრებულო | 451,5 | 419.8 | 444.5 | 552 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 15 | 16 | 20 | 20 |
| | ხარჯები | 440,5 | 438 | 3 | 532 |
| | შრომის ანაზღაურება | 310,4 | 301.3 | 310 | 350 |
| | საქონელი და მომსახურება | 130,1 | 135.9 | 134.5 | 125 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5 | 0 | 0 | 20 |
| 02 01 | ბაღდათის მერია | 2144,1 | 1912,2 | 1672.9 | 1572,6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 138 | 139 | 109 | 109 |
| | ხარჯები | 1080,3 | 1117,0 | 1283,47 | 1482,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 827,7 | 719.3 | 1030 | 1030 |
| | საქონელი და მომსახურება | 240,7 | 372.7 | 243.4 | 345,2 |
| | პროცენტები | 0 | 0 | 0 | 30 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 8 | 24.6 | 10 | 12 |
| | სხვა ხარჯები | 3.9 | 0 | 0 | 60 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 798,6 | 305 | 60 | 70 |
| | ვალდებულებების კლება | 265,2 | 490.1 | 329.5 | 20 |
| 03 01 | სარეზერვო ფონდი | 0 | 0 | 20 | 20 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 20 | 20 |
| | საქონელი და მომსახურება | 0 | 0 | 20 | 20 |
| 00 02 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 68.2 | 86.1 | 80.7 | 79,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 6 | 5 | 5 | 5 |
| | ხარჯები | 68.2 | 76.9 | 79 | 79 |
| | შრომის ანაზღაურება | 58.4 | 53.7 | 60 | 56 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.8 | 23 | 19 | 23 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 9.2 | 1.7 | 0 |
| 03 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 68.2 | 86.1 | 80.7 | 79 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 6 | 5 | 5 | 5 |
| | ხარჯები | 68.2 | 76.6 | 79 | 79 |
| | შრომის ანაზღაურება | 58.4 | 53.7 | 60 | 56 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.8 | 23 | 19 | 23 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 9.2 | 1.7 | 0 |
| 00 03 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3543,8 | 4493,6 | 8088.6 | 1605 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 96 | 95 | 130 |
| | ხარჯები | 961,6 | 804.8 | 868 | 1079 |
| | საქონელი და მომსახურება | 162,4 | 134.7 | 158 | 134 |
| | სუბსიდიები | 721,9 | 639.7 | 710 | 870 |
| | სხვა ხარჯები | 77.3 | 30.4 | 0 | 75 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2582,2 | 3645,4 | 7220.6 | 526 |
| 01 03 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 1702,6 | 2902,1 | 5806.1 | 324 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1702,6 | 2902,1 | 5806.1 | 324 |
| 01 01 03 | ტროტუარების მოწყობა, მოვლა-პატრონობა | 0 | 0 | 0 | 24 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 24 |
| 02 01 03 | ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია | 1702,6 | 2902,1 | 5806.1 | 300 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1702,6 | 2902,1 | 5806.1 | 300 |
| 02 03 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1344,3 | 1470,6 | 1868.8 | 1187 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 95 | 120 | 120 |
| | ხარჯები | 908,4 | 756.4 | 853 | 1055 |
| | საქონელი და მომსახურება | 157,9 | 131.5 | 143 | 110 |
| | სუბსიდიები | 673,2 | 624.9 | 710 | 870 |
| | სხვა ხარჯები | 77.3 | 0 | 0 | 75 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 435,9 | 682.7 | 1015.8 | 132 |
| 01 02 03 | ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება | 673,2 | 627.1 | 710 | 870 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 95 | 95 | 130 |
| | ხარჯები | 673,2 | 624.9 | 710 | 870 |
| | სუბსიდიები | 673,24 | 624.9 | 710 | 870 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 2.1 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0.05 | 0 | 0 |
| 02 02 03 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 429,5 | 247.1 | 851 | 20 |
| | ხარჯები | 429,5 | 247.1 | 851 | 20 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 429,5 | 247.1 | 851 | 20 |
| 03 02 03 | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 0 | 464.9 | 120 | 17 |
| | ხარჯები | 0 | 464.9 | 120 | 17 |
| | სუბსიდიები | | 0 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 464.9 | 120 | 17 |
| 04 02 03 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 157,9 | 131.5 | 143 | 140 |
| | ხარჯები | 157,9 | 131.5 | 143 | 140 |
| | საქონელი და მომსახურება | 157,9 | 131.5 | 143 | 110 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 30 |
| 05 02 03 | მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია | 77.3 | 0 | 35 | 75 |
| | ხარჯები | 77.3 | 0 | 0 | 75 |
| | სხვა ხარჯები | 77.3 | 0 | 0 | 75 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 35 | 0 |
| 06 02 03 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია | 10 | 0 | 9.5 | 65 |
| | ხარჯები | 10 | 0 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10 | 0 | 9.5 | 65 |
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 4.5 | 3.2 | 5 | 24 |
| | ხარჯები | 4.5 | 3.2 | 5 | 24 |
| | საქონელი და მომსახურება | 4.5 | 3.2 | 5 | 24 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 03 03 | ქალაქის გამწვანება | 0 | 0 | 0 | 7 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 7 |
| | საქონელი და მომსახურება | 0 | 0 | 0 | 7 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 02 03 03 | საკადასტრო რუქის დამზადება | 4.5 | 3.2 | 5 | 10 |
| | ხარჯები | 4.5 | 3.2 | 5 | 10 |
| | საქონელი და მომსახურება | 4.5 | 3.2 | 5 | 10 |
| 03 03 03 | შადრევნების ექსპლოატაცია | 0 | 0 | 0 | 7 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 7 |
| | საქონელი და მომსახურება | 0 | 0 | 0 | 7 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| 04 03 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | 443,7 | 71.4 | 0.7 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 443,7 | 71.4 | 0.7 | 0 |
| 05 03 | შპს აგროჰოლდინგი | 48.7 | 14.8 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 48.7 | 14.8 | 0 | 0 |
| | სუბსიდიები | 48.7 | 14.8 | 0 | 0 |
| 06 03 | მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია | 0 | 31.4 | 408 | 70 |
| | ხარჯები | 0 | 31.4 | 10 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 31.4 | 398 | 70 |
| 00 04 | განათლება | 772,5 | 815.2 | 546.6 | 983 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | 271 |
| | ხარჯები | 772, | 815.2 | 546.6 | 983 |
| | | 52 | | | |
| | სუბსიდიები | 772,5 | 815.2 | 546.6 | 983 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 04 | ა(ა)იპ ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება საბავშვო ბაგა ბაღი | 772,5 | 815.2 | 139.8 | 0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 772,5 | 815.2 | 139.8 | 0 |
| | სუბსიდიები | 772,5 | 815.2 | 139.8 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 04 04 | ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება | 0 | 0 | 406.8 | 983 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 271 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 406.8 | 983 |
| | სუბსიდია | 0 | 0 | 406.8 | 983 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 00 05 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1208.6 | 938 | 1160.6 | 902 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 1 | 0 | 425 | 192 |
| | ხარჯები | 1208.6 | 937.7 | 1154.8 | 902 |
| | საქონელი და მომსახურება | 20.5 | 41.3 | 26.3 | 42 |
| | სუბსიდიები | 1085.7 | 894 | 1128.5 | 860 |
| | გრანტები | 102,4 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 1.6 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 05 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 436,8 | 188 | 229.5 | 292 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 28 | 0 | 35 | 46 |
| | ხარჯები | 436,8 | 187.9 | 229.5 | 292 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.7 | 6.4 | 10 | |
| | სუბსიდიები | 333,7 | 181.3 | 219.5 | 280 |
| | გრანტები | 102,4 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0.03 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 01 05 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 103,1 | 6.7 | 10 | 12 |
| | ხარჯები | 103, | 6.7 | 10 | 12 |
| | | 1 | | | |
| | საქონელი და მომსახურება | 0.7 | 6.4 | 10 | 12 |
| | გრანტები | 102,4 | 0 | 0 | 0 |
| 02 01 05 | ა(ა)იპ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი | 197,2 | 181.3 | 219.5 | 280 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 28 | 45 | 35 | 46 |
| | ხარჯები | 197,2 | 181.3 | 219.5 | 280 |
| | სუბსიდიები | 197,2 | 181.3 | 219.5 | 280 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 01 05 | საფეხბურთო კლუბი „საირმე“ | 136,5 | 0 | 0 | 0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 136,5 | 0 | 0 | 0 |
| | სუბსიდიები | 136,5 | 0 | 0 | 0 |
| 02 05 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 471,3 | 683.2 | 884.8 | 555 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 1 | 0 | 390.5 | 146 |
| | ხარჯები | 7138 | 681,71 | 879 | 555 |
| | სუბსიდიები | 713 | 681.7 | 879 | 540 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 1.60 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 02 05 | ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება ( ყოფილი ააიპ ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი ) | 264,7 | 252.9 | 424.8 | 0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 0 | 46 | 0 |
| | ხარჯები | 264,7 | 252.4 | 422.2 | 0 |
| | სუბსიდიები | 264,7 | 252.4 | 422.2 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0.6 | 0 | 0 |
| 06 02 05 | ააიპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | 448,3 | 430.3 | 460 | 540 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | | 0 | 148.5 | 146 |
| | ხარჯები | 448,3 | 429.3 | 456.8 | 540 |
| | სუბსიდიები | 448,3 | 429.3 | 456.8 | 540 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 1 | 3.2 | 0 |
| 07 02 05 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 0 | 0 | 0 | 15 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 15 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 15 |
| 04 05 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 19.8 | 35.7 | 16.3 | 15 |
| | ხარჯები | 19.8 | 35.7 | 16.3 | 15 |
| | საქონელი და მომსახურება | 19.8 | 34.8 | 16.3 | 15 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0.9 | 0 | 0 |
| 05 05 | ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა | 39 | 31 | 30 | 40 |
| | ხარჯები | 39 | 31 | 30 | 40 |
| | სუბსიდიები | 39 | 31 | 30 | 40 |
| 00 06 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 464,6 | 726 | 592.4 | 474 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 15 | 15 | 15 | 15 |
| | ხარჯები | 446,9 | 715.5 | 450 | 474 |
| | სუბსიდიები | 47.9 | 47 | 67 | 47 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 306,9 | 317.1 | 383 | 427 |
| | სხვა ხარჯები | 92.1 | 347.5 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 17.7 | 10.5 | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 142.4 | 0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01 06 | ა(ა)იპ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 47.9 | 47 | 47 | 47 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 15 | 15 | 15 | 15 |
| | ხარჯები | 47.9 | 47 | 47 | 47 |
| | სუბსიდიები | 47.9 | 47 | 47 | 47 |
| 02 06 | სოციალური პროგრამები | 416,7 | 679 | 545.4 | 427 |
| | ხარჯები | 399 | 668.5 | 403 | 427 |
| | სუსიდიები | 0 | 0 | 20 | 0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 306,9 | 317.1 | 383 | 427 |
| | სხვა ხარჯები | 92.1 | 347.5 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 142.4 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 17.7 | 10.5 | | |
| 01 02 06 | სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარება | 140,1 | 131.8 | 153.5 | 145 |
| | ხარჯები | 140,1 | 131.8 | 153.5 | 145 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 140,1 | 131.8 | 153.5 | 145 |
| 02 02 06 | დაკრძალვის ხარჯები | 1.3 | 0.5 | 2 | 2 |
| | ხარჯები | 1.3 | 0.5 | 2 | 2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1.3 | 0.5 | 2 | 2 |
| 03 02 06 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობ ისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები | 3 | 2.8 | 3 | 5 |
| | ხარჯები | 3 | 2.8 | 3 | 5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 3 | 2.8 | 3 | 5 |
| 04 02 06 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 45 | 44.8 | 45 | 50 |
| | ხარჯები | 45 | 44.8 | 45 | 50 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 45 | 44.8 | 45 | 50 |
| 05 02 06 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 28 | 36.9 | 40 | 30 |
| | ხარჯები | 28 | 36.9 | 40 | 30 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 28 | 36.9 | 40 | 30 |
| 06 02 06 | სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი | 76.9 | 353.1 | 172.4 | 70 |
| | ხარჯები | 76.9 | 344.6 | 30 | 70 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 16.1 | 5.8 | 30 | 70 |
| | სხვა ხარჯები | 60.8 | 338.8 | 20 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 8.5 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 142.4 | 0 |
| 07 02 06 | სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის | 117,4 | 61.6 | 55.4 | 35 |
| | ხარჯები | 99.7 | 59.6 | 55.4 | 35 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 68.4 | 56.2 | 55.4 | 35 |
| | სხვა ხარჯები | 31.3 | 3.4 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 17.7 | 2 | 0 | 0 |
| 08 02 06 | სადღესასწაულო დახმარების პროგრამა (9 მაისი) | 5 | 5 | 10 | 10 |
| | ხარჯები | 5 | 5 | 10 | 10 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 5 | 5 | 10 | 10 |
| 09 02 06 | შშმ პირთა დახმარება | 0 | 20 | 20 | 22 |
| | ხარჯები | 0 | 20 | 20 | 22 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 10.7 | 20 | 22 |
| 10 02 06 | ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება | 0 | 1.8 | 2 | 3 |
| | ხარჯები | 0 | 1.8 | 2 | 3 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 1.8 | 2 | 3 |
| 11 02 06 | დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება | 0 | 0.5 | 2 | 2 |
| | ხარჯები | 0 | 0.5 | 2 | 2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0.5 | 2 | 2 |
| 12 02 06 | დიალეზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება | 0 | 18.4 | 32.6 | 38 |
| | ხარჯები | 0 | 18.4 | 32.6 | 38 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 18.4 | 32.6 | 38 |
| 13 02 06 | ობოლ 18 წლამდე ასკის ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 0 | 1.8 | 7.5 | 5 |
| | ხარჯები | 0 | 1.8 | 7.5 | 5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 1,8 | 7,55 | 5 |
| 14 02 06 | მარტოხელა მშობლის დახმარება | 0 | 0 | 0 | 5 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | 0 | 5 |
| 15 02 06 | მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 0 | 0 | 0 | 10 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 10 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | 0 | 10 |
| 16 02 06 | მარტოხელა დევნილ მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები | 0 | 0 | 0 | 3 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 3 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | 0 | 3 |
| 17 02 06 | დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა | 0 | 0 | 0 | 5 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | | 5 |
| 18 02 06 | ძალადობის მსხვერპლთა დაცვა | 0 | 0 | 0 | 2 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | 0 | 2 |

## თავი VII
## მარეგულირებელი ნორმები

**მუხლი 17.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 18.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

**მუხლი 19.**

2019 წლის განმავლობაში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 20.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 21**

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ

ნფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 22.**

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

**მუხლი 23.**

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 04-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2019 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

**მუხლი 24.**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

**მუხლი 25.**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 128,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 47,0 ათასი ლარი;

ბ) ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 79,0 ათასი ლარი.

გ) მე 2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯები – 2,0 ათასი ლარი

2. ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"–ს 69 –ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 26.

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 20,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

## თავი VIII
## მუხლი 27.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

# ქართული დამწერლობა

მსოფლიოში არის 5000-მდე ენა. ამათგან მხოლოდ ასეული დამწერლობა ანუ კულტურული ენა არსებობს, მათ შორის ქართული, ხოლო ამ ასეულიდან უძველესია ათეული, ქართული დამწერლობაც ამ ათეულში შედის.

სომხური ტრადიცია ქართული ანბანის შექმნას ვინმე მესროპ მაშტოცს მიაწერს, რაც ქართველი მეცნიერების მიერ საფუძვლიანად არის უარყოფილი.

უძველესი ქართული წარწერა აღმოჩენილია პალესტინაში, იუდას უდაბნოში მდებარე ქართული მონასტრის ნანგრევის ნაშთებზე. აქ იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ 1952-53 წლებში აღმოაჩინა სამი ქართული წარწერა. ამათგან ორი 428-432 წლებით თარიღდება. პალესტინაში ქართული წარწერის აღმოჩენაც ცხადყოფს, რომ საქართველოში დამწერლობა უფრო ადრედაც არსებობდა.

ამ აღმოჩენამდე უძველეს ქართულ წარწერად ითვლებოდა ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერები, რომელიც 494-495 წწ. თარიღდებოდა. დაახლოებით ამავე ეპოქაშია შექმნილი პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“.

XX საუკუნის ბოლოს ნეკრესის ნაქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ქართული წარწერები, რომელთაც წინაქრისტიანული ხანით ათარიღებენ, თუმცა ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობაზე არის მინიშნებები ამავე ეპოქის ბერძნულ-რომაულ წყაროებში.

ქრისტიანობამდე დამწერლობის არსებობას ეხმიანება XI საუკუნის ქართველი მემატიანე ლეონტი მროველიც, რომელიც ქართული დამწერლობის შექმნას მეფე ფარნავაზს მიაწერს. „ამან განავრცო ენა ქართული და არ–ღა–რა იზრახებოდა სხუა ენა ქართულსა შინა თვინიერ ქართულისა; და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული“.

მეცნიერთა აზრი იყოფა იმის თაობაზე, თუ რომელი ანბანი დაედო საფუძვლად ქართულ ანბანს – ფინიკიური, არამეული თუ ბერძნული? დღესდღეობით მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბერძნული ანბანის საფუძველზეა წარმოშობილი ქართული დამწერლობა.

მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინ, სოფ. იგოეთთან, გრაკლიანის გორაზე, ვახტანგ ლიჩელის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა დამწერლობის დღემდე უცნობი ტიპი, რომელიც მაიამის დელტა ლაბორატორიამ ძვ. წ. XI-Xსს-ით დაათარიღა, რამაც შეიძლება საფუძვლიანად შეცვალოს ქართული ანბანის წარმოშობის დროები.

ალბათ, მკითხველი დასვამს კითხვას, თუ დამწერლობა V საუკუნეზე ადრე შეიქმნა, რატომ არ არსებობს რაიმე ამ პერიოდების წყაროები?

ამის მისანიშნებლად რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთი ვარიანტი ის არის, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ წინა ქრისტიანული ხანის ქართული დამწერლობები, უბრალოდ, განადგურდა, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. ჩემი აზრით, ასეთი მასალები ან ჯერ არ არის, ანდა ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ მტრების შემოსევის შედეგად დაიკარგა, ან შესაძლოა, გაიტანეს საქართველოდან. ამის დამადასტურებელი არის თემურ ლენგის პირველი შემოსვლა საქართველოში (1386 წელი), თბილისის აღების შემდეგ მან ქართველ მეფეთა მდიდარი ბიბლიოთეკა თავისთან წაიღო.

ქართულმა ანბანმა დიდი გზა განვლო. V საუკუნიდან დღემდე სულ სამი ტიპის ანბანი შეიქმნა:

1. ასომთავრული – V-IX სს.
2. ნუსხური – IX-X სს.
3. მხედრული – XI-დღემდე.



XI საუკუნეში ასომთავრული და ნუსხური გაერთიანდა და ეწოდა ნუსხა-ხუცური, რომელიც დღესაც გამოიყენება სასულიერო მწერლობაში. მხედრული ანბანი კი თვითონ სიტყვა გვეუბნება, რომ საერო დამწერლობა იყო, რომელიც დღემდე მოქმედებს.

ქართული დამწერლობა შედგებოდა 38 ასოსაგან, მაგრამ XIX საუკუნის II ნახევარში გამოაკლდა 5 ასო-ნიშანი. ამით ქართული ანბანი იმდენად სრულყოფილი გახდა, რომ ყველა ასოს შესაბამისი ბგერა აქვს, რაც უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ანბანებში.

სწორედ ამის გამო, 2016 წლის 30 ნოემბერს, „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შევიდა.

***ჯუანშერ გეგეშიძე***

# მთავარანგელოზები

21(8) ნოემბერს მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესია მთავარანგელოზის დღესასწაულს აღნიშნავს.

ვინ არიან მთავარანგელოზები და რა დანიშნულება აქვთ მათ ქრისტიანულ რელიგიაში?

1. ანგელოზთა დასის მთავრად დადგენილია მთავარანგელოზი მიქაელი, რომელმაც გამოდევნა სასუფევლიდან სატანა და მისი მიმდევრები. გვიცავს ბოროტი სულებისაგან და ბოროტი ადამიანებისგან;
2. მთავარანგელოზი გაბრიელი – სიმტკიცე (ძალი) ღვთისა. ის კეთილის მაცნეა ადამიანებისათვის;
3. მთავარანგელოზი რაფაელი – ღვთიური მკურნალი;
4. მთავარანგელოზი ურიელი – ღვთაებრივი ცეცხლი და ნათელი განმანათლებელი;
5. მთავარანგელოზი სერაფიელი – მლოცველს ნიშნავს, ის ადამიანს შეეწევა ლოცვის დროს;
6. მთავარანგელოზი იეგუდიელი – ღვთის დიდებას ნიშნავს;
7. მთავარანგელოზი ვარაქიელი – კურთხევის ანგელოზს ნიშნავს;
8. მთავარანგელოზი – იერომიელი ნიშნავს ღვთისაკენ ამაღლებას.

მთავარანგელოზთა დღესასწაულის აღნიშვნა გადაწყდა IV ს-ის დასაწყისში ლაოდიკის ადგილობრივ კრებაზე.

საქართველოში მთავარანგელოზის ეკლესია არცთუ ისე ბევრია, ამათგან ორი ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდებარეობს – I ფერსათსა და ქვედა დიმში. ორივე ეკლესია, სავარაუდოდ, აგებულია XIX საუკუნის II ნახევარში, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ორივე მათგანი დაიხურა. ფერსათის ეკლესია იმდენად დაზიანდა, რომ აქ წირვა-ლოცვის ჩატარება შეუძლებელი იყო.

ქვედა დიმში ღვთისმსახურება აღდგა 1990-იანი წლების დასაწყისში, ხოლო ფერსათის ეკლესიაში წირვა-ლოცვა დაახლოებით 15 წლის წინ განახლდა.

***ჯუანშერ გეგეშიძე***

# გიორგობა და წმინდა გიორგის ეკლესიები ბაღდათში

საქართველოში ბევრი წმინდანია, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქართულ ქრისტიანულ სივრცეში, მათ შორის გამორჩეულია კაბადოკიელი მხედართმთავარი წმინდა გიორგი, რომელზეც ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „არა არს საქართველოში არცა მთანი და არცა მაღალნი ბორცვნი, სადაც არა იყოს ტაძარნი ანუ ნიშანი წმინდისა გივორგისანი“.

მაინც ვინ იყო წმინდა გიორგი, რომ ქართველებში ასეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა?

წმინდა გიორგი დაიბადა კაბადოკიაში III ს-ის II ნახევარში იმპერატორ დიოკლეტიანეს მართველობის დროს. ეს იმპერატორი გამორჩეული იყო იმით, რომ ის დასდევდა და სასტიკად უსწორდებოდა ქრისტიანებს, რომლებიც იმ დროს რომის იმპერიაში უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. წმინდა გიორგი იყო დიდებული ოჯახის შვილი. მამას გერონტიოსი, ხოლო დედას კი პოლიხრონიოსი ერქვა. სწორედ დედამ აზიარა პატარა გიორგი ქრისტიანობას.

წმინდა გიორგიმ თავისი მოღვაწეობით დიდი სახელი გაითქვა და ერთ-ერთი არმიის მთავარსარდალიც გახდა. ის იყო კაცი, რომელმაც გაბედა და იმპერატორის სასახლეში, დიოკლეტიანეს თანდასწრებით, ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო, რამაც ძალზე განარისხა იმპერატორი. დიოკლეტიანემ თავიდან ცადა, ძალადობის გარეშე ეთქმვინებინა უარი გიორგისათვის ქრისტიანობაზე, სანაცვლოდ სამეფოს ნახევარი შესთავაზა, მაგრამ ქრისტეს რჯულის ქომაგისაგან სასტიკი უარი მიიღო, რის შემდეგაც დაიწყო წმინდა გიორგის მრავალგზის წამება. ის ურმის თვალზე დააკრეს, დალმართზე კი მახვილები დააგეს, ამის შედეგად წმინდა გიორგის სხეული მრავალ ნაწილად დაიჭრა, მაგრამ ღმრთის ანგელოზის გარდამოსვლით წმინდაგიორგი მეყსეულად განიკურნა, შემდეგ ის დამბალ კირში ჩააგდეს, რომელშიც სამი დღე იმყოფებოდა, მაგრამ მან ამ განსაცდელსაც გაუძლო, ამას მოყვა ფეხებში ლურსმნების გაყრა და შოლტის თანხლებით იძულებითი სირბილი. როცა წამებამ შედეგი არ გამოიღო, დიოკლეტიანეს ბრძანებით, 303/304 წლებში მას თავი მოჰკვეთეს.

წმინდა გიორგის ნაწილები მთელ მსოფლიოშია გაფანტული, მათ შორის საქართველოშიც. მისი მუხლი ჯერ თბილისის სიონის ტაძარში იყო, ხოლო შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.

მსოფლიო მართმადიდებლური ეკლესია 23 ნოემბერს აღნიშნავს წმინდა გიორგის ბორბალზე წამების დღეს, ხოლო 6 მაისს – თავის მოკვეთის დღეს მხოლოდ საქართველოში აღნიშნავენ.

წმინდა გიორგის სახელზეა საქართველოში აგებული ეკლესია-მონასტრების უდიდესი ნაწილი და ამ მხრივ ბაღდათის მუნიციპალიტეტიც არაა გამონაკლისი.

ბაღდათის საკათედრო ტაძრის პირველი სართული, რომლის მშენებლობის იდეა 1993 წელს გაჩნდა, წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. მისი მშენებლობა დაიწყო 1996 წელს, მას შემდეგ, რაც ვანი-ბაღდათის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა იმ დროს ეპისკოპოსი, ხოლო დღეს მიტროპოლი ანტონი. ტაძრის კურთხევა 1998 წელს მოხდა.

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ზედა დიმში XX ს-ის დასაწყისში აშენდა და ეკურთხა. ეკლესიის აგების იდეა და მისი მშენებლობა მთლიანად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე მოხდა.

ქვედა ზეგანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სავარაუდოდ აშენებული უნდა იყოს XVI-XVII სს-ში. ის თავიდან ხის ეკლესია იყო, მაგრამ შემდეგ დაინგრა და ხელახლა იქნა აღდგენილი.

წითელხევის წმ. გიორგის (ე.წ. დევიძეების) ეკლესია აგებული უნდა იყოს X ს-ში, ხოლო უფრო მოგვიანებით, სავარაუდოდ, XVII ს-ში ეკლესია იქნა მოხატული იმ პერიოდის, ალბათ, უდიდესი მხატვრის – გიორგი ჯოხთაბერიძის მიერ. დღეს ეს ეკლესია დახურულია, მისი მხატვრობა კი თანდათან ნადგურდება.

ბაღდათში არსებული წმინდა გიორგის ეკლესიებიდან, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია სალხინოს ეკლესია, რომელიც ერთ-ერთი ვერსიით აიგო VII-VIII საუკუნეებში. ეს არგუმენტი შეგვიძლია გავამყაროთ იმ პერიოდის ხუროთმოძღვრებით – უძველესი, ჩვენამდე შემორჩენილი ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი, მათ შორის ფერსათის წმინდა გიორგის ეკლესია, ბაზილიკური ტიპისაა, რომელიც დამახასიათებელი იყო სწორედ VII-VIII საუკუნეებისათვის. ეს ბაზილიკები თავისი უცხოური მოდელების ანალოგი არ არის. ქართულ ხუროთმოძღვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ე.წ. „ცენტრალურ“ ნაგებობათა ტრადიციაზე ჩამოყალიბებულ და აგებულ ძეგლებს, რომლებიც აღწერილია ანტიკურ წერილობით წყაროებში (ვიტრევი) და დადასტურებულია ქართული გლეხური საცხოვრებელი სახლის (დარბაზის) არსებობით.“




1812 წლის 12 მარტს ბაღდათის სოფელ ფერსათის (სალხინოს) საყდარში, სიმონოვიჩმა და მოგილევსკიმ საჯაროდ ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცეს, რომ მეფეს არ შეიპყრობდნენ, მიიღებდნენ მეფური პატივით და ტორმასოვთან შეხვედრის შემდეგ უკან გამოისტუმრებდნენ. სოლომონ მეფე დათანხმდა ტორმასოვთან შეხვედრას. (ამ საქმეში ხელმწიფე იმპერატორს უერთგულეს – ზურაბ წერეთელმა, ოტია და სეხნია წულუკიძეებმა, გაენათელმა მიტროპოლიტმა) {ნიკო დადიანი} 1810 წლის 15 მარტს ტორმოსოვთან გამგზავრებულ სოლომონს გამოუცხადეს, რომ რუსეთის საპატიო ტყვე იყო და თბილისში ჩაიყვანეს. მეფის შეპყრობისთანავე იმერეთი რუსებმა დაიკავეს და ექვს ოლქად დაჰყვეს.

სალხინოს ეკლესიაზე შეიმჩნევა მიწისძვრის კვალი. პირველი დამანგრეველი მიწისძვრა, რომელმაც, შესაძლოა, იმოქმედა მასზე, მოხდა 1014-1021 წლებში, მეორე –1988 წლის 7 დეკემბერს (სპიტიკის 7,2ბ) და მესამე – 1991 წლის 29 აპრილს (სასიეთის 9ბ ფერსათში 6-7.2ბ).

***ჯუანშერ გეგეშიძე***

## თვიდან თვემდე

* * *



21 ნოემბერს ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურული კომპოზიცია სახელწოდებით „ქვეყნად პოეტი არის მრავალი, გალაკტიონი ერთადერთია“. ღონისძიება მიეძღვნა ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, XX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს გალაკტიონ ტაბიძეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბაღდათის კულტურის ცენტრის მსახიობები და ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველები. საღამოს ესწრებოდნენ მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები მოსწავლეებთან ერთად.

* * *

სოფელ ფერსათში ნოდარ (მერაბ) ჭელიძის სოციალურად დაუცველ შვიდსულიან ოჯახს, რომელიც ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და აიპების თანამშრომლებმა ყოველდღიურობისთვის საჭირო ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები და საოჯახო ნივთები გადასცეს. მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით დაზარალებული ოჯახი ამჟამად დროებით საცხოვრისშია მოთავსებული, მათ დასახმარებლად ადგილობრივი თვითმმართველობამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა.

* * *

1 ნოემბერს ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლისა და საბავშვო მწერლის - იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მასში ჩართულნი იყვნენ ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველები. საღამოზე გაიხსენეს იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება და ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რაც მას ქართველი ერის წინაშე მიუძღვის. იაკობ გოგებაშვილი გახლდათ მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იგი დაუღალავად იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის ჩვენს ქვეყანაში. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში.

* * *

ნოემბერში ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეკარის ტერიტორიაზე ტყეში გაჩენილი ხანძრის შედეგად დამწვარია ტყის ქვედა საფარის, დაახლოებით, 10 ჰა ფართობი. რთული რელიეფის გამო ადგილზე სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მისვლა გართულდა, რის გამოც ცეცხლის ქრობის პროცესში ჩაერთო 200-მდე მეხანძრე-მაშველი, ასევე იმერეთის რეგიონის სატყეო სამსახურის თაანამშრომლები. დასახლებულ ტერიტორიებზე ცეცხლი არ გავრცელებულა. სოფელ კაკასხიდში შექმნილი საგანგებო შტაბი 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდული ჯგუფის ინიციატივით, ინკლუზიის მიმართულებით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას, რომელსაც თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი გიგა სოფრომაძე უძღვებოდა, საუბარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებასა და რესოციალიზაციას შეეხო. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად მუშაობს. მისი მხარდაჭერით, რამდენიმე დღის წინ, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ექსკურსია მოეწყო. შშმ პირებმა ბაღდათში არსებული საოჯახო მარნები დაათვალიერეს და ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ. მათ ასევე მოინახულეს შუქრი ნაკაშიძის საოჯახო მუზეუმი და ხეზე კვეთის ოსტატის მურმან ფაიქიძის სახელოსნო. მანამდე კი, შშმ პირთა კავშირის „რწმენა და იმედის“ წევრებმა, ქალაქ თბილისში შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. „ივერია ბრილიანტი“ – ამ სახელწოდებით გამართულ ფესტივალში, საქართველოში მცხოვრებ შშმ პირებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან ფესტივალზე ნახატები და ხელთნაკეთი ნივთები იყო წარმოდგენილი. ბაღდათელი შშმ პირები აქტიურად ასპარეზობენ მუნიციპალურ თუ რესპუბლიკურ სპორტულ ტურნირებში.

* * *



ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მხარდაჭერითა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ორგანიზებით, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურულ დარბაზში საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის რიგით მეორე შემოქმედებითი სემინარი მოეწყო. მასში მონაწილეობდა სსიპ-კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის (ელენე ლომინაძე, თაკო დევიძე), ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევისა (ზაურ ველიაშვილი) და როხის (დავით ლაბაძე) საჯარო სკოლების მოსწავლეები. საკონკურსო თემები ეხებოდა ბაღდათის მხარის ისტორიას. სემინარზე მათი პრეზენტაციის, განხილვისა და რეკომენდაციების შემდეგ ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა მოსწავლეები და პედაგოგები სიგელებითა და წიგნებით დააჯილდოვა, სემინარის მონაწილეებს სიმბოლური ფულადი საჩუქრებიც გადაეცა.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სავალდებულო სამსახურის ინიციატივით სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ხელმძღვანელობასთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს ლიცეუმში სწავლების მსურველთა რეგისტრაციის, ცხოვრების პირობებისა თუ შემდგომი დასაქმების პერსპექტივებზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა. სასწავლებელმა მეტი თვალსაჩინოებისათვის მოაწყო პრეზენტაცია, რომელსაც მესამე კურსის მოსწავლე ანი სილაგაძე უძღვებოდა. ლიცეუმში სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.

სასწავლო პროცესი წარმატებული სტუდენტებისათვის გაცვლით პროგრამებს ითვალისწინებს.

შეხვედრის დასასრულს წარმოადგინეს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიასთან დაკავშირებული მცირე ვიდეორგოლი. სასწავლებელი ქალაქ გორში მდებარეობს და სწავლის პერიოდი 5 წელს მოიცავს. შეხვედრას ესწრებოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის 21 საჯარო სკოლის 196 მოსწავლე. აქ ასევე იმყოფებოდნენ სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პირველი კურსის ბაღდათელი სტუდენტები გეგა თავხელიძე და ლუკა ენდელაძე.

## სპორტი

* * *

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ 2018-2019 წლების გათამაშების ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოეწყო საჯარო სკოლებს შორის. ასპარეზობები გარბენის ტურნირით დაიწყო. გამარჯვება, როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში სოფ. დიმის №1-მა საჯარო სკოლამ მოიპოვა. მინი ფეხბურთში ფინალში ერთმანეთს ქალაქ ბაღდათის №1 და სოფ. ნერგეეთის საჯარო სკოლების გუნდები დაუპირისპირდნენ და პირველ ადგილზე ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა გავიდა. მაგიდის ჩოგბურთში გამართულ ტურნირში გაიმარჯვა სოფ. ფერსათის №1-მა საჯარო სკოლამ (როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში), ხოლო ბადმინტონის ტურნირში პირველობა მოიპოვა ქალაქ ბაღდათის №1-მა საჯარო სკოლამ (როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში). გამარჯვებული სკოლები რეგიონალურ ეტაპზე ასპარეზობას 2019 წლის მარტიდან განაგრძობს.

* * *

9-10 ნოემბერს ქალაქ სამტრედიაში ტრაგიკულად დაღუპული ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდნენ 2004-2006 წწ და 2007-2008 წწ-ში დაბადებული სპორტსმენები. ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღეს ა.(ა).ი.პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭიდავეებმა (მწვრთნელები კოტე გურგენიძე, მევლუდ ჯიხვაძე და გია ჩხეტია). მევლუდ ჯიხვაძისა და გია ჩხეტიას აღსაზრდელებიდან I ადგილის მფლობელი გახდა – ლუკა რურუა (85 კგ. წონით კატეგორია), ხოლო III ადგილი დაიკავა – იგორ ფანგანმა (23 კგ წონითი კატეგორია).

კოტე გურგენიძის აღსაზრდელებმა კი ადგილები ასე გადაინაწილეს:

I ადგილი – დათო ბურჯანაძე (26 კგ. წონითი კატეგორია);
II ადგილი – ემზარ ბურჯანაძე (38 კგ. წონითი კატეგორია);
III ადგილი – გიორგი ბურჯანაძე (41კგ. წონითი კატეგორია);
III ადგილი – როლანდ ხინჩიაშვილი (48კგ. წონითი კატეგორია);
III ადგილი – მერაბ თოლორდავა (62 კგ. წონითი კატეგორია).

* * *



ა. (ა). ი. პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჭიდაობის ფუძემდებლების გიორგი ბოგდანოვისა და გურამ გობეჯიშვილის სახელობის IV რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრში მონაწილეობას საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან, ასევე აზერბაიჯანიდან ჩამოსული 300-მდე მონაწილე იღებდა. გამარჯვებულები გამოვლინდა სხვადასხვა წონით კატეგორიაში (25 კგ-დან, 100 კგ-მდე.). ისინი შესაბამისი მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვნენ.

**დავით ყიფიანი**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და
კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“